

ეკონომიკური კრიზისის შედეგები და მისი დაძლევის გზები

2008 წლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ფინანსური კრიზისი იყო, რომელიც შეერთებულ შტატებში დაიწყო და შემდეგ გლობალური მასშტაბი შეიძინა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა ყველაზე დიდი ეკონომიკური დაღმასვლა, კოლაფსი განიცადა მსოფლიოს წამყვანმა საფინანსო ინსტიტუტებმა. კრიზისის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ბინათმშენებლობის ჰიპოტეკას იღებდა ძალზე ბევრი ადამიანი, რომელსაც ვალის გასტუმრების უნარი არ შესწევდა.

როცა ამ ადამიანებმა ვალების გადახდა შეწყვიტეს, გააოტრება დაიწყო მათმა კრედიტორებმა. მან თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ბანკებმა გაამკაცრეს კომპანიებისა და ერთმანეთისათვის ფულის სესხება. გართულდა კრედიტების შოვნა, რაც ეკონომიკისათვის უანგბადის მიწოდების შეწყვეტის ტოლფასია. ჰაერში რეცესიი სუნი დადგა. ჰიპოთეკების კრიზისის მსხვერპლი გახდა ბევრი მსხვილი კომპანია. უფრო მეტიც, კრიზისი ევროპულ ბაზრებსაც შეეხო, კერძოდ დიდ ბრიტანეთში, ისლანდიაში, ბელგიასა და ნიდერლანდებში ძელზედ რთული ვითარებები შეიქმნა. წლის ბოლოსათვის ფინანსური კრიზისი განვითარებად ბაზრებსაც მისწვდა. ოქტომბერში პანიკამ მოიცვა რუსეთი, სადაც აქციები თავისუფალ ვარდნას განიცდიდა, საფონდო ბირჟები რამდენჯერმე დაიხურა.

როგორც ახლა უკვე ანალიზებენ ექსპერტები, ზემო აღნიშნულის გარდა კრიზისის გამომწვევი მიზეზები ასევე იყო- პირველი- ინტერესთა კონფლიქტი-მსოფლიოს საფინანსო ინსტიტუტებში უმაღლესი ხელმძღვანელობის ფულადი ანაზღაურების წესსა და ბანკის მიერ გაწეული რისკის შეფასებებს შორის, მეორეც- სახელმწიფოების მიერ

საინვესტიციო ბანკების რეგულირების მექანიზმების არარსებობა. მესამე-ეკონომიკური რეცესიის მოლოდინი.

ფინანსური კრიზისი გახდა ნავთობის გაიაფების მიზეზი. ბოლო თვეების მანძილზე, საწვავზე ფასმა საგრძნობლად იკლო და ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კლება 2009 წლის ბოლომდე გაგრძელდება, შემდეგ კი ვითარება გამოსწორდება და ფასები კვლავ მოიმატებს, ბუნებრივია, ეს სიტუაცია აშინებთ ნავთობმაგნატებს, რომლებიც ინტენსიურად იკრიბებიან და მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებენ, მაგრამ კრიზისი მათ იმის საშუალებას არ აძლევს, რომ ბარელზე ფასები მოუმატონ.

განსაკუთრებით, მტკივნეულად შეეხო კრიზისი რუსეთს, უმუშევართა რიცხვმა უკვე კარგა ხანია 1000000 ადამიანს გადააჭარბა და ეს რიცხვი ზრდას განაგრძობს. იხურება საწარმოები, დამსაქმებლები ათავისუფლებენ დასაქმებულებს, მიმდინარეობს ხელფასების კლება. რუსეთის ეროვნული ვალუტა –რუბლი, ფაქტიურად დღითიდღე უფასურდება.

აშკარაა, რომ კრიზისი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას შეეხო და ძალზედ საყურადღებოა, ამიტომაც ამერიკის შეერთებულ შტატებისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების ლიდერები უკვე თანხმდებიან ერთიანი სამოქმედო პროგრამის მიღებისათვის, რომელიც შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი იქნება, მოცემული სიტუაციიდან თავის დასაღწევად კი აქტიური მუშაობაა ჩასატარებელი.

გასული წელი გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოსთვისაც. ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის აგრესიამ „მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკაზე სერიოზული ზეგავლენა მოახდინა. მართალია, მყისიერი ნეგატიური გავლენა ქვეყანაში არ მომხდარა და როგორც არაერთმა ექსპერტმა განაცხადა, ქვეყანამ ომს გაუძლო, თუმცა ნოემბრის ბოლოს კრიზისი უკვე აშკარა გახდა. მიუხედავად არაერთი განცხადებისა, რომ კრიზისული მდგომარეობა საქართველოში არცთუ ისე მაღალია, რადგანაც ქვეყანა არ არის დიდად ინტეგრირებული მსოფლიო

ეკონომიკის ბაზარზე, ცხადია რომ ეკონომიკური აქტივობა უკიდურესად შენელებულია, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპები ძალიან დაცემულია, რაც აისახა კიდევ 2009 წლის ბიუჯეტის პროექტის შემოსავლებზეც. არაერთი ექსპერტის განცხადებით ომმა საქართველოს მოუტანა როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი შედეგი. ომი ესაა- დანგრეული სოფელი, ქალაქები, ხიდები, უსახლკაროდ დარჩენილი უამრავი ადამიანი, დაკარგული ახლობლები... ამ ყველაფერმა არაერთი პრობლემა შექმნა, შემცირდა უცხოური ინვესტიციების შემოდინება და საინვესტიციო მიმზიდველობა დაეცა, თუმცა იმავდროულად დადებითი მოვლენაც აღინიშნა-საქართველოს 4,5 მილიარდი დოლარის დახმარება გამოეყო.

ეკონომიკური კრიზისი ყველაზე უფრო მეტად საფინანსო სექტორსა და სამშენებლო სექტორებს შეეხო. ფაქტიურად, 2008 წლის დასაწყისისთვის საბანკო სისტემის აქტივებმა 8 მილიარდს გადააჭარბა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ზე მეტია.

სწორედ ამან გამოიწვია ის აუიოტაჟი, რაც საბანკო სფეროში შექმნილ მდგომარეობას მოჰყვა, რადგან საბანკო სფეროში არსებულ მდგომარეობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. გარკვეულწილად აღსანიშნავია, 2008 წლის ეროვნული ბანკის პოლიტიკა, რომელმაც ქვეყანას საბანკო კრიზისი მნიშვნელოვნად ააცილა.

2008 წლამდე ერთ-ერთი წარმატებული სფერო ქართულ ეკონომიკაში სამშენებლო სექტორი იყო. ისევე როგორც საბანკო სფეროში, აქაც რთული ვითარება შეიქმნა. პრობლემები სამშენებლო ბაზარზე პირდაპირ კავშირშია ბანკების მიერ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან, რადგან მყიდველების უმეტესობა საქართველოში სწორედ იპოთეკური სესხებით სარგებლობდა. ფინანსური კრიზისის პარარელურად მთელ მსოფლიოში უძრავ ქონებაზე მოთხოვნა მცირდება, საქართველოშიც მოთხოვნა შემცირდა, განსაკუთრებით ომის შემდეგ.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლაზე. ინვესტორებს მთელი სახსრები მიმართული აქვთ იმისაკენ, რომ შექმნილი მდგომარეობისაგან რაც შეიძლება მინიმალური ზარალი განიცადონ. აქედან გამომდინარე, ისინი საზღვარგარეთ ინვესტიციების განხორციელებისაგან თავს იკავებენ. ინვესტიციების შემცირებაა სწორედ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 2009 წლის ბიუჯეტი, მიმდინარე წელთან შედარებით, 1 მილიარდით შემცირდა. გარდა კრიზისისა, უცხოელთა დაინტერესებაზე განხორციელებინათ კაპიტალდაბანდება საქართველოში, გავლენა იქონია ომმა. ქვეყანაში, სადაც დიდია რისკები, საკმაოდ რთულია დააინტერესო ინვესტორი, რომ მან ასეთ ქვეყანაში კაპიტალდაბანდება განახორციელოს. ექსპერტთა ვარაუდით, ინვესტიციების სერიოზულ შემოდინებას არც 2009 წელს არ უნდა ველოდოთ.

დღეისათვის კრიზისმა ყველაზე ძლიერი დარტყმა ეროვნულ ვალუტაზე ჰპოვა. 2008 წლის ნოემბრის დასაწყისში ლარის კურსმა საგრძნობლად იწყო კლება. საქართველოს სავალუტო ბაზარზე 2 წელზე მეტია, რაც ლარი შედარებით სტაბილური იყო. 2007 წლის დასაწყისში, აშშ დოლარის ნომინალური გაცვლის ოპიციალური კურსი 1,7135 ლარს შეადგენდა, 31 დეკემბერს კი 1,5916 ლარს. 2008 წელს გამყარება გაგრძელდა და ოქტომბერში 1 აშშ დოლარის ნომინალური გაცვლითი კურსი უკვე 1,42 ლარს შეადგენდა, თუმცა ბოლო თვეებში, იგი ხელოვნურად იყო შენარჩუნებული. ნოემბრის თვის დასაწყისში ლარმა მკვეთრი კლება განიცადა და დღეისათვის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1,65 ლარს შეადგენს, ანუ მოცემული კურსი წლის დასაწყისში არსებულ კურსზე 0.05 ერთეულით მაღალია. ფაქტიურად, ეროვნული ბანკი ხელოვნურად ცდილობდა კურსის გამყარებას აშშ დოლართან მიმართებაში, თუმცა ამ ხელოვნური გამყარების ხერხმა ვერ გაამართლა და საბოლოოდ ეროვნულმა ვალუტამ მკვეთრი ვარდნა განიცადა.

საქართველოში ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი ხელისშემწყობი გარემოებაა პრივატიზების პროცესის შეჩერება. საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტების უმეტესობა ან საერთოდ არ იყიდება ან დაგეგმილზე გაცილებით მცირე ფასად. პრობლემები შეიქმნა უკვე ზოგიერთ შეთანხმებულ

ინვესტიციებზეც, რადგან ინვესტორის უმეტესობა პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებას ერიდება. ეკონომიკური კრიზისი აისახება ასევე პროდუქტების ფასებზე. საგრძნობლად მოიმატა ფასებმა სურსათზე და ყოველდღიური მოხმარების ნივთებზე, რამაც ასახვა პპოვა საარსებო მინიმუმზეც, რამდენიმე ლარით გაიზარდა.

დღეს, ჩვენთვის უკვე იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის ის თუ რამ წარმოშვა კრიზისი-(ეს კრიზისი საქართველოში არ დაწყებულა), არამედ ის თუ როგორ ვიპოვოთ გზა, გამოსავალი ამ კრიზისის გადასაღებად. ფაქტიურად მსოფლიოს წამყვანი ბანკები დადგნენ იმ რეალობის წინაშე, რომ ისინი ვერ ახერხებენ თავიანთი ქონების შეფასებას. წლების მანძილზე დაგროვილი ფინანსური პროდუქტების რეალური ღირებულება დღეს უკვე არავინ არ იცის. ამერიკის მაგალითზე თუ ვისაუბრებთ, სასესხო ხელშეკრულებების თანახმად მოსახლეობას უნდა დაეფარა მცოცავი პროცენტი, რაც გულისხმობდა იმას, რომ თუკი ფედერალური სარეზერვო სისტემა საპროცენტო განაკვეთებს გაზრდიდა, მოქალაქეებსაც უნდა გაზრდოდათ გადასახადი და შესაბამისად სესხის პროცენტი. ასეც მოხდა, მოქალაქეებს არსებულ სესხებთან შედარებით 3-ჯერ მეტი მოცულობის სესხების დაფარვა მოუწიათ, ბევრმა ვერ შეძლო ამხელა გადასახადის გადახდას და ბანკებმა მათ სახლები ჩამოართვეს. ბანკს დარჩა სახლი, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში, გაცემული კრედიტის ოდენობის ნახევარი ღირს, მაგრამ ბანკი იმასაც ვერ ყიდის. რადგანაც თუკი ბაზარზე ყველა სახლი გამოიყრება, სახლების ფასი კიდევ უფრო დაეცემა და ბანკი უფრო მეტად იზარალებს. ამერიკაში გაჩნდა ქუჩები, უბნები და ქალაქებიც კი, სადაც ხალხი პრაქტიკულად აღარ ცხოვრობს და ეს ქუჩები, უბნები და ქალაქები ბანკებს ეკუთვნით, ისინი კი მათ რეალიზაციას ხერ ახდენენ.

ბუნებრივია ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ (მთავრობამ), რომ მნიშვნელოვნად შეასუსტოს კრიზისური სიტუაცია?

უპირველეს ყოვლისა, ამგვარ სიტუაციაში, სწორედ რომ მთავრობას ენიჭება მთავარი როლი, რადგანაც მისი უმოქმედობის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა შეიძლება განადგურდეს. ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთავრობამ ფართოდ უნდა გამოიყენოს ექსპერტთა, თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა გამოცდილება, საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია შეიქმნას კრიზისული მდომარეობის შემსწავლელი და რეკომენდაციების წარმომდგენი სპეციალური საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იქნება, როგორც აღმასრულებელი ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან, ექსპერტებისა და ყველა საჭირო დაინტერესებული მხარისაგან.

აშკარაა, რომ კრიზისის პერიოდში მცირდება ინფლაცია, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეროვნულ ბანკს, რომ ბანკებზე საპროცენტო განაკვეთები შეამციროს. რაც მთავარია, საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი 4,5 მილიარდი დოლარის გამოყენება მიზანმიმართულად უნდა წარიმართოს. სახელმწიფომ აქტიური დიალოგი უნდა აწარმოოს კერძო სექტორთან, რათა გამოავლინოს მისი განვითარების ხელის შემშლელი მიზეზები და დახმარება გაუწიოს მათ. ამას გარდა, ბანკებში აუცილებლად უნდა მოიხსნას ლიკვიდურობის პრობლემა და დაკრედიტირება შეუზღუდავი უნდა გახდეს. სახელმწიფომ დამატებითი ბაზრების მოძიებაზე უნდა იზრუნოს, რაც ძველ ბაზრებს გარკვეულწილად ჩაანაცვლეს და ვაჭრობის მოცულობას გაზრდის.

დაბოლოს, საქართველომ ეკონომიკური კრიზისი რომ იოლად გადაიტანოს, აუცილებელია შეიქმნას სპეციალური სტრატეგია, რომელიც კრიზისიდან გამოყვანის გზებსა და პროგრამას მოიცავს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ის საკანონმდებლო და ფინანსური გადაწყვეტილებები, რომელთა განხორციელება აუცილებელია ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად.

